გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 54
(11 613)

16 – 18 ივლისი, 2002 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორგანიზებულად მიზანმიმართული საქმიანობის კიდევ ერთ დასტურად იქცა სეოკ-ის აღმასკომის მორიგი სხდომა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა კომფორტაბელურ სასტუმრო „სიმპათიის" საკონფერენციო დარბაზში. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ყურადღება მიიპყრო განსახილველ საკითხთა მრავალფეროვნებამ. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ აღმასკომის ყოველ სხდომაზე, ამ ორგანიზაციის საქმიანობაში წინგადადგმული ნაბიჯის თვალის გადავლების პარალელურად, მკაფიოდ ისახება შემდეგი ნაბიჯი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ოლიმპიური მოძრაობა წინ მიჰყავს. „ლელო" სეოკ-ს დაფუძნებიდან ადევნებს თვალყურს, ასე რომ, ზემოთქმულის განცხადების უფლება ნამდვილად გვაქვს.

მაინც რა იყო შთამბეჭდავი სეოკ-ის აღმასკომის ამ სხდომაზე? უპირველესად უნდა ვთქვათ სპორტული მიღწევების შემოქმედთა – სპორტსმენთა და მათ მწვრთნელთა ამაგის დაფასება. ამ წარმატებებში კი სეოკ-ს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად, უდიდესი წვლილი შეაქვს, განსაკუთრებით სპორტის ოლიმპიურ სახეობათა მხარდაჭერაში.

მომავალ ოლიმპიურ თამაშებში ყველას განსაკუთრებით ჩვენი ძიუდოისტების ეიმედება და სწორედ დროული იყო სეოკ-ის აღმასკომის ამ სხდომაზე ძიუდოისტების, როგორც ბოლო ხანებში მიღწეულ წარმატებებზე, ისე სამამულო ამოცანებზე მსჯელობა. საოლიმპიადო სალიცენზიო ტურნირების სერია უკვე რამდენიმე თვეში დაიწყება. ადრინდელისგან განსხვავებით, ლიცენზიის მოსაპოვებლად სპორტსმენებს ორი წელიწადი ეძლევათ, ამ შემთხვევაში 2003 და 2004 (ოლიმპიადამდე). სალიცენზიო ტურნირებს შორისაა თბილისის საერთაშორისო ტურნირი, რომლის მაღალ დონეზე ჩასატარებლად აქედანვეა საჭირო მზადება. მით უფრო, რომ ამ ტურნირით იწყება სალიცენზიო ასპარე-

(იხ. მე-2 გვ.)



## რომან რურუა სპორტისა და ახალგაზრდობის საპარლამენტო ქვეკომიტეტის თავმჯდომარეა

საქართველოს პარლამენტმა ახლახან ერთხმად დაამტკიცა სპორტისა და ტურიზმის საპარლამენტო ქვეკომიტეტის თავმჯდომარედ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, პარლამენტარი რომან რურუა.

## SOS

## ისევ ძარცვა...

კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი შევიტყვეთ. ტანვარჯიშის დარბაზი სანაპიროზე ამ პაპანაქებაში უკონდიციონეროდ დარჩა. ქურდებს იგი შაბათ ღამით მოუპარავთ. ასე რომ, ზამთარში ჩვენს სპორტსმენებს თუ სიცივე ბოჭავს, ახლა სიცხე შეაწუხებთ. მოკლედ, საშველი არ არის...

## „ბასკო" ახალ სეზონს ახალი შემადგენლობით ხვდება

### ყველა თამაშს ერთ დონეზე ვერ ჩაატარებ ● ახალი შემადგენლობით ● ბათუმში საერთაშორისო ტურნირის ჩატარებაა დაგეგმილი

ბათუმის „ბასკოს" კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა, მოგეხსენებათ, წარმატებით დაასრულა 2001-2002 წლების ეროვნული საკალათბურთო სეზონი და ზედიზედ მესამედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული.

გულშემატკივრებს მიეცათ იმედი, რომ „ბასკო" დამაჯერებლად წარსდგება ევროტურნირებზე, თუმცა საქმე სხვაგვარად არის. გუნდის ამჟამინდელ მდგომარეობასა და მომავალზე გვესაუბრება ბათუმის „ბასკოს" ახალი მთავარი მწვრთნელი ნუგზარ კანდელაკი, რომელიც აქამდე მეორე მწვრთნელის მოვალეობას ასრულებდა.

● *ბატონო ნუგზარ, კიდევ ერთხელ გადავხედოთ გასულ ეროვნულ ჩემპიონატს. როგორ შეაფასებთ მას?*

— შარშანდელ ჩემპიონატს, რა თქმა უნდა, დადებითად შევაფასებდი, მით უმეტეს, რომ „ბასკომ" მესამედ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. გუნდმა მართლაც რომ ლამაზი თამაში აჩვენა.

● *არადა, „ბასკომ" პირველი მატჩი სენსაციური შედეგით დაასრულა სტუ-სთან.*

— მართალს ამბობთ, პირველი თამაში თბილისში, ყველასათვის მოულოდნელად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდთან წავაგეთ, მაგრამ ამ მარცხმა კარგი სამსახური გაგვიწია: ერთობ გამოგვაფხიზლა, ვიგრძენით, რომ იოლი გასეირნება არ გველოდა და გუნდის მოთამაშეებმა საქმეს უფრო სერიოზულად მოჰკიდეს ხელი, ასევე დადებითი გა-



ნ. კანდელაკი

(იხ. მე-2 გვ.)

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### ფეხბურთი ● რუსეთის ჩემპიონატი

მე-15 ტურის პირველ მატჩში მოსკოვის „სპარტაკმა" 0-1 სტუმრად დაამარცხა თანაქალაქელთა „დინამო". ერთადერთი გოლი 82-ე წუთზე 11-მეტრიანით ბესჩასტნიხმა გაიტანა. ახლა სპარტაკელებს 29 ქულა აქვთ.

### შევჩენკო „ტორპედოს" გამოემშვიდობა

მოსკოვის „ტორპედოს" ხელმძღვანელობამ დააკმაყოფილა გუნდის მთავარი მწვრთნელი ვ. შევჩენკოს თხოვნა და იგი თანამდებობიდან გაანთავისუფლა, მიზეზად სახელდება ის, რომ გუნდმა ვერ შესძლო გადაელახა წარუმატებლობათა სერია — „ტორპედომ" რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატში ზედიზედ ხუთი მატჩი წააგო და სატურნირო ცხრილში მე-12 საფეხურზე დაეშვა.

### „ფულხემმა" ინამოტო არენდით აიყვანა

იაპონელი ნახევარმცველი ჯუნიჩი ინამოტო ინგლისის „ფულხემში" არენდით გადავიდა. გასულ სეზონში ეს ფეხბურთელი იგივე პირობებით გამოდიოდა ლონდონის „არსენალში", თუმცა სულ ოთხჯერ გაიყვანეს სათამაშოდ.

მსოფლიო ჩემპიონატში ინამოტოს შთამბეჭდავი გამოსვლის შემდეგ მისადმი ინტერესი გაიზარდა. ლონდონის პრესის ცნობით, ამ ფეხბურთელში „ფულხემმა" მის ადრინდელ მფლობელებს 4,5 მილიონი დოლარი გადაუხადა. თვით ფეხბურთელს კი წლიური ხელფასი 400 ათასი ევრო დაენიშნა. კონტრაქტი ითვალისწინებს აგრეთვე მის შესყიდვას სამი სეზონით, როცა არენდის ვადა ამოიწურება.

## იტალიის ეოკ-ის დოპინგსაწინააღმდეგო კომისიის მეთაური გადადგა

ეს პიროვნება გახლავთ ჯაკომო აიელო, რომელიც გადადგა მას შემდეგ, რაც ველომრბოლი მარკო პანტანის შვიდთვიანი დისკვალიფიკაცია დოპინგის მიღების გამო, საბოლოოდ არ დადასტურდა. აიელო თვლის, რომ სპორტული ინსტანციები ანგარიშს ავტორიტეტებს უფრო უწევენ და უკან იხევენ, როცა საქმე საქმეზე მიდგება. ეს კაცი თვლის რომ დათმობაზე წავიდნენ აგრეთვე ფეხბურთელების დევიდსის, კოუტოს, გვარდიოლას და სხვათა მიმართ, რომლებიც მხილებულნი იყვნენ დოპინგის მიღებაში.

### დევისის თასი

ევრო-აფრიკის ზონა. II ჯგუფი. II წრე: სლოვენია — ირლანდია — 3:2 (იხ. მე-6 გვ.)

## მილოცვა

### კახი კახიაშვილს



საქართველოს ძალოსნობის ფედერაციისა და პირადად ჩემი სახელით სულითა და გულით, დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს.

ძმაო კახი!

დამოუკიდებელი საქართველოს სპორტის ისტორიაში ოქროს ასოებით შევიდა შენი სახელი. შენმა პირადმა მაგალითმა გზა გაუკაფა დიდ სპორტში საქართველოს ძალოსანთა ახალ თაობას და შენი სახელი სამარადისოდ დარჩება მომავალ წარმატებათა ათვლის წერტილად.

დიდი მადლობა ყველაფრისთვის, რასაც შენ აკეთებ საქართველოში ძალოსნობის ხელშეწყობისთვის.

ძმური სიყვარულით,

გიორგი ასანიძე,
საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი

## 7 მონაწილე ნახევარფინალშია!



საქართველოს მოკრივეთა ეროვნული ნაკრები წარმატებით აგრძელებს მონაწილეობას ევროპის ჩემპიონატში, რომელიც რუსეთის ქალაქ პერმში მიმდინარეობს. ჩვენი 11 მოკრივიდან 7 უკვე მეოთხედფინალშია. ეს შეხვედრები დღეს და ხვალ გაიმართება. ვინც ამ ბარიერსაც წარმატებით დაძლევს, უკვე მინიმუმ ევროპის ჩემპიონატის მედალოსანი გახდება. ვისურვებთ, რომ შვიდივემ ფინალში გააღწიოს.

## ანონსი

### წერილი სრულად იხილეთ „ლელოს" შემდეგ ნომერში!

... „ბევრს მიაჩნია, რომ ჩვენი ნაკრების ხსნა უცხოელი მწვრთნელის მოწვევაშია. ასეთი აზრი ჩემში არ იწვევს უკურეაქციას, მაგრამ თავის დროზე გერმანიაში, კრიზისულ სიტუაციაში, სხვაგვარად მოიქცნენ: ეროვნული ფედერაციის სპონსორებმა დიდი თანხა გამოყვეს ჭაბუკთა ფეხბურთის გასანვითარებლად – თუ მეხსიერება არ მღალატობს, 15 მილიონი მარკა ქვეყნის ყველა რეგიონისათვის, მათ შორის, ახალი საფეხბურთო კომპლექსების და მინდვრების მშენებლობისათვის. ყოველ ამ რეგიონში ფედერაციამ დანიშნა მწვრთნელი, რომელიც პროცესებს აკონტროლებდა. ყოველ შაბათს რეგიონალური გუნდების მწვრთნელებთან ტარდებოდა მეთოდური მეცადინეობები. ასე მოვიდნენ ნაკრებში კლოზე, მეტცელდერი, კლუბებში ხომ უამრავი ნიჭიერი ფეხბურთელი აღმოჩნდა. ასე და ამდაგვარად, გაძლიერდა გერმანიის ნაკრები. მე მგონია, რომ სწორედ ასეთი გზაა პერსპექტიული. გადაუხადო დიდი ხელფასი ნაკრების მწვრთნელს, ჩვენი იქნება ეს თუ უცხოელი, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ ვზრუნავთ რა პირამიდის წვერზე არ შეიძლება დავივიწყოთ მისი საფუძველი"...

## პირველლიგელთა იმედი უმაღლეს ლიგაში გადასვლაა

**შარშან პირველი ლიგის ბინადარი, საფეხბურთო კლუბი „ქობულეთი" უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვების ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი იყო, მაგრამ გუნდმა გადასასვლელი მატჩი წააგო. ამის მიუხედავად, „ქობულეთი" უფრო მეტი მონდომებით ემზადება ახალი საფეხბურთო სეზონისათვის. გთავაზობთ ინტერვიუს კლუბის ტექნიკურ დირექტორთან თენგიზ გოგიტიძესთან.**

● *რით ახსნით უმაღლეს ლიგაში გადასასვლელი მატჩის მარცხს?*

— არც მსაჯების და არც მეტოქის მიმართ არანაირი პრეტენზიები არ გაგვაჩნია. მარცხი ჩვენივე ბრალი იყო. არ გვყავდა ორი ძირითადი თავდამსხმელი — ბერიძეს ტრავმა აწუხებდა, ხოლო კაკალაძე მოსკოვის ცსკა-ში იმყოფებოდა გასასინჯად. საერთოდ, გუნდი მზად არ აღმოჩნდა საპასუხისმგებლო მატჩისთვის და ამიტომაც წავაგეთ თამაში.

● *როდის დაიწყეთ ახალი სეზონისათვის მზადება?*

— გუნდი 18 ივნისს შეიკრიბა. ჩავატარეთ სამი საკონტროლო შეხვედრა. ფრედ — 3-3 დავასრულეთ მატჩი სტუმრად ფოთის „კოლხეთთან". ამ გუნდთან ასევე ნულოვან ფრეს დავჯერდით ქობულეთშიც — 0-0. შემდეგ კი ვუმასპინძლეთ ქვეყნის ჩემპიონს — ქუთაისის „ტორპედოს" და დავამარცხეთ — 1-0. ახლა გუნდი კვლავ ისვენებს და ვარჯიშს 18 ივლისიდან განაახლებს.

● *რა ცვლილებებია გუნდში?*

— ამ დღეებში გადაწყდება, დარჩება თუ არა ცსკა-ში კაკალაძე. გარდა ამისა, გუნდი დატოვა თალაკვაძემ, სამაგიეროდ დაგვემატა ლურსმანაშვილი. როგორც იცით, „ქობულეთი" ძირითადად ადგილობრივი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და მხოლოდ ოთხი მოწვეული მოთამაშე გვყავს: ლურსმანაშვილი, გეგეშიძე, კალანდაძე და ჯაფარიძე. ფარმ-კლუბიდან დავამატეთ 5 პერსპექტიული მოთამაშე: მცველი გუგუშვილი, ნახევარმცველები — გოგიტიძე და მალაზონია, თავდამსხმელები — ბარამიძე და ბეჟანიშვილი.



● *რაიმე პრობლემები ხომ არ გაქვთ?*

— არანაირი. გუნდში ყველანაირი პირობებია სრულყოფილი ვარჯიშებისათვის.

● *ალბათ, ისევ უმაღლესი ლიგის საგზურისათვის იბრძოლებთ...*

— ფეხბურთი იმედის გარეშე არ არსებობს. პირველლიგელთა იმედი კი უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვებაა. შევეცდებით გულშემატკივართა იმედები გავამართლოთ.

● *თქვენ ბრძანდებით დელეგატი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იმ ყრილობისა, რომელმაც ახალი შემადგენლობა უნდა აირჩიოს. როგორია თქვენი პოზიცია?*

— ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით. მთავარია, ქართული ფეხბურთი წინ წავიდეს.

თენგიზ ჩოგანიძე,
სპეციალურად გაზეთ „ლელოსთვის"
ბათუმიდან

**მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 1 თვე დარჩა**

**ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 7 თვე გვაშორებს**

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!**

# საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში

*(პირველი გვერდიდან)*

ზობები. იგი უმაღლესი კატეგორიისაა და მიიჩნევენ მსოფლიოს მცირე ჩემპიონატად. ალმასკომის წევრის ვაჟა შუბლაძის მიერ დაისვა საკითხი, რომ ამ ტურნირის ჩატარების ორგანიზაციულ მხარესთან დაკავშირებით მომზადდეს ქვეყნის პრეზიდენტის განკარგულების პროექტი, რასაც ალმასკომი დაეთანხმა.

მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის მძლეოსანთა მზადების მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციით გამოვიდა ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ მდინარაძე, რომელმაც სავალალო სურათი დახატა. განსაკუთრებით ეს ეხება უბაზობას – ეროვნულ სტადიონზე მოიშალა ძველი ფუნქცია, „ლოკომოტივის" ახალი სტადიონი კი ისე აიგო, მძლეოსნური ბილიკებისა და სექტორების მოწყობის გათვალისწინება არ მოხერხდა. ფედერაცია ფინანსურად დამოკიდებულია ძირითადად საერთაშორისო ფედერაციის მოწყალებაზე. „მიუხედავად პრობლემებისა, ფედერაცია ყველაფერს გააკეთებს, მოიპოვოს ათენის თამაშებისთვის ლიცენზია" – თქვა თ. მდინარაძემ. დავძენთ, რომ სეოკ-ი ყოველთვიურად 3 სპორტსმენზე და 2 მწვრთნელზე გასცემს სტიპენდიას 100-დან 150 ლარამდე ოდენობით. ძიუდოში კი 15 სპორტსმენზე გაიცემა, ასევე ყოველთვიურად 100-დან 350 ლარამდე, ამასთან, მიმდინარე თვიდან „ოლიმპიური ფონდი" უზრუნველყოფს 7 პერსპექტიულ სპორტსმენს თვეში 200-დან 300 ლარამდე სტიპენდიით. სეოკ-ი 4 მწვრთნელს უზრუნველყოფს თვეში 75-დან 300 ლარამდე, „ოლიმპიური ფონდი" კი 100-დან 300 ლარამდე უზრუნველყოფს 6 მწვრთნელს.

სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ამ ციფრების გამჟღავნებისას დასძინა, რომ „ოლიმპიური ფონდის" პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის პოზიცია ისაა, რომ ფონდი არ აპირებს ჩაენაცვლოს სახელმწიფოს, ქვეყანამ თავისი წილი უნდა გაიღოს ოლიმპიელთა მოსამზადებლად.

„2002-2004 წლებში საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის ოლიმპიზმისა და ოლიმპიური მოძრაობის პროპაგანდის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" – ასეთია სეოკ-ისა და საქართველოს განათლების სამინისტროს ერთობლივი პროექტი, რომელიც უთუოდ მისასალმებელია და ახალი სიტყვა ჩვენს ქვეყანაში ოლიმპიური იდეალების სწავლების საქმეში. ალმასკომმა ამ საკითხზე ერთხმად მიიღო დადგენილება.

ფაქტობრივად, სიახლეა ისიც, რომ ამიერიდან საქართველოს რიგ უმაღლეს სასწავლებლებში და სპორტულ ლიცეუმებში სახელობითი ოლიმპიური სტიპენდიები დაწესდება სწავლასა და სპორტში წარჩინებულთათვის, რის შესახებაც სეოკ-ის ალმასკომმა შესაბამისი დადგენილება მიიღო.

სეოკ-ის ალმასკომის ამ სხდომაზე განიხილეს ეროვნული ოლიმპიური აკადემიის წესდების პროექტი, ალმასკომმა აღიარა სროლის ფედერაციიდან გამოყოფილი მშვილდოსნობის ფედერაცია, განიხილა „საქართველოს ოლიმპიური დღის" აღნიშვნისა და სხვა აქტუალური საკითხები.

ალმასკომის სხდომას უძღვებოდა სეოკ-ის პრეზიდენტი ჯანსუღ ბაგრატიონი.

## „რენას თასი – 2002" ვეტერანებისათვის

დინამოს კორტებზე დასრულდა ვეტერან ჩოგბურთელთა ტურნირი „რენას თასი — 2002". ერთეულთა თანრიგში პირველი ადგილი დაიკავა გია მანჯგალაძემ, მეორე იყო დათო ასათიანი, მესამე — ავთანდილ ლომიძე. წყვილთა თანრიგში ადგილები ასე განაწილდა: 1. დათო ასათიანი — ირაკლი თოფურიძე, 2. მიშა ფრიდმანი — ფელიქს ჯანაშია, 3. გია მანჯგალაძე — კოტე გაბრიჩიძე.

ტურნირის ყველაზე უხუცესი მოთამაშის პრიზი ხვდა აკადემიკოს აგული სოხაძეს (ირმა სოხაძის მამა).

საუკეთესო მსაჯის პრიზი გადაეცა გივი რუსიაშვილს.



*სურათზე (მარცხნიდან): გამარჯვებული და პრიზიორები.*

*ფოტო რ. ბაგრიანისა*

# ორი ვიცე-პრეზიდენტი ერთი სოფლიდან

ორღობე, მერე საყდარი შუაგულ სოფელში ნახერხმოყრილ წრეში თმააქოჩრილი ჩოხიანი ბიჭების ჭიდაობა, ლოყებდაბერილი ბებერი მეზურნეების მუსიკის ჰანგები. ერთობ ნაცნობი სურათია, რომელიც ჟრუანტელს იწვევს ქომაგთა შორის...

კახეთის არაერთი სოფლის მსგავსად, გურჯაანის რაიონის სოფელი შაშიანიც ოდითგან ცნობილი იყო ქართული ჭიდაობის მდიდარი ტრადიციებით და ხერხიანი მოჭიდავე-ფალავნებით. შაშიანელია საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ბიწკინაშვილი, რომელიც მრავალი ათეული წელია ჩვენს ეროვნულ საუნჯეს უდგას დარაჯად. ჯერ მოჭიდავე, შემდეგ ჭიდაობების მომწყობი — ორგანიზატორი, ქართული ჭიდაობის და სამბოს ფედერაციების პრეზიდიუმის წევრი, ამჟამად კი „ქართულის" ვიცე-პრეზიდენტია.

გოგი ბიწკინაშვილის მამა ვალოდია ბიწკინაშვილი ქართული ჭიდაობის კარგი ოსტატი იყო, რომელიც ლია, ნახერხმოყრილი მოედნის გარდა, წარმატებით გამოდიოდა ე.წ. „ცირკის" საჭიდაო სარბიელზე. თუ მივადევნებთ თვალს 1949 წლის 5-6 მარტის აფიშას, ის გამოდიოდა ვ. ლაფაურთან, ს. მაისურაძე, ა. ქველაძე, ა. ნინიაშვილი და სხვა გამოჩენილ ფალავნებთან ერთად.

გოგი ბიწკინაშვილისათვის მისაბაძი იყო აგრეთვე მისი წინამორბედი, თანასოფლელი მოჭიდავე ალექსანდრე (მურად) მწარიაშვილი, რომელიც ჯერ სსრკ ჩემპიონი გახდა სამბოში, შემდეგ სსრკ დამსახურებული მწვრთნელი. ამჟამად მურად მწარიაშვილი საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია. ასე რომ, ერთი სოფლიდან ჭიდაობას ორი ვიცე-პრეზიდენტი ჰყავს. გოგი ბიწკანიშვილმა ტრავმის გამო სიჭაბუკეშივე დაასრულა გამოსვლები ქართულ ჭიდაობასა და სამბოში.

ამ საოცარი გატაცების რეალიზაცია კი გოგიმ ჭიდაობის კარგ ორგანიზატორობაში მოახდინა. შეკრებდა სოფლის მოჭიდავეთა ნაკრებს და მთელს კახეთში, ზოგჯერ სატვირთო მანქანებითაც კი, დაჰყავდა ტურნირებზე თელავში, გავაზში, კაჭრეთში, ყვარელში, აკურაში, ახმეტაში...

კოოპერაციული ინსტიტუტისა და ზოოსაინჟინროს დამთავრების შემდეგ მუშაობდა გურჯაანის კომბინირებული საკვების ქარხანაში, საგზაო რესტორნების გაერთიანებაში (ცნობილ ფეხბურთელ ილია დათუნაშვილთან ერთად) თუ სხვაგან, ის მუდამ ქართულ ჭიდაობასთან იყო, ხშირად პირადი სახსრებით ეხმარებოდა ცალკეულ მოჭიდავეებს და მათ აღმზრდელ-მწვრთნელებს, აწყობდა შეჯიბრებებს კახეთის სოფლებში, იძენდა თასებს სხვადასხვა ტურნირებისთვის და ა.შ.



**მილოცვა**

ქართული ჭიდაობის ფედერაცია უღრმესი პატივისცემით ულოცავს დაბადებიდან 55 წლისთავს ამავე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, ვეტერან ფალავანს **გიორგი ბიწკინაშვილს.**

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო გიორგი ბიწკინაშვილის მოღვაწეობა ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმში ბატონ ნიკო იაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში გიორგი და იური იმერლიშვილებთან, სიმონ მაისურაძესთან, თენგიზ ელერდაშვილთან, ვასილ ფეტვიაშვილთან, შოთა ზუკაკიშვილთან, ლავრენტი კაციაშვილთან, დავით ასათიანთან, გოგი გზირიშვილთან, ქრისტეფორე და აკაკი ნინიაშვილებთან ერთად.

მეოცე საუკუნის მიწურულს, საქართველოში დატრიალებული ცნობილი ამბების დროს, გოგის და მის თანამოაზრეებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ ჩვენი ეროვნული ჭიდაობის გადასარჩენად. მას ძალიან აწუხებდა, რომ ერთ დროს ჭიდაობის დიდი ტრადიციების სოფელში მთლიანად მიივიწყეს ქართული ჭიდაობა. გიორგი ბიწკინაშვილმა მიზნად დაისახა შაშიანში და მის მეზობელ სოფელში ჭიდაობის აღორძინება. აღადგინა ნახერხმოყრილი ძველი მოედანი, სადაც არაერთი გამარჯვება უზეიმია, თავად მას, მურად მწარიაშვილს, ზურაბ მწარიაშვილს, კირილე ხოტუნაშვილს და სხვებს. 1998 წლის 31 აგვისტოს ჩაატარა მურად მწარიაშვილის სახელობის ტურნირი. ეს დღე დიდხანს ემახსოვრება რაიონის მოსახლეობას. მართლაც დიდი ზეიმი იყო. ტურნირს დაესწრო ცნობილ მოჭიდავეთა კოჰორტა — დ. ციმაკურიძე, ვ. ბალავაძე, ს. მაისურაძე, მ. ცალქალამანიძე, ო. კანდელაკი, ქართული ჭიდაობის პრეზიდენტი ნიკო იაშვილი, სხვა სახელოვანი ფალავნები. ამის შემდეგ სოფელში შეიქმნა ქართული ჭიდაობის სექცია, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ გამოცდილი მწვრთნელები გივი პაპოშვილი და მერაბ კენჭაძე. დღეს ამ სოფლის მოჭიდავეები ბასოშვილი და ზარდიაშვილი უკვე საქართველოს ჩემპიონები არიან ქართულ ჭიდაობაში.



*მარცხნიდან: გიორგი ბიწკინაშვილი, დავით ციმაკურიძე, მირიან ცალქალამანიძე*

შეიძლება ითქვას რომ, ქართული ჭიდაობა გადარჩა, იწყება აღორძინება!

საფიქრალ-საზრუნავი ძალზე ბევრი აქვს 55 წლის ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც დღემდე არ ღალატობს იმ პირველ სიყვარულს, ნახერხის სურნელოვან საჭიდაოზე რომ მიიღო ფეხშიშველა ყმაწვილმა — გიორგი ბიწკინაშვილმა.

ბაბრიელ ბარჯაძე

# „ბასკო" ახალ სეზონს ახალი შემადგენლობით ხვდება

*(პირველი გვერდიდან)*

ვლენა იქონია „ბასკოს" თამაშის ხარისხზე „მაკაბისთან" დამარცხებამაც, რომლის შემდეგაც შევიგნეთ, რომ ძალების მოდუნება ერთი წუთითაც არ შეიძლება.

● ***რატომ გაგიჭირდათ „დინამოს" დამარცხება ფინალში?***

— სეზონის განმავლობაში „დინამოსთან" რვა თამაში ჩავატარეთ და მხოლოდ ერთხელ დავმარცხდით, დანარჩენი შეხვედრები მოვიგეთ ზოგი ათი, ზოგი ოცი ქულის სხვაობით, ყველა თამაშს ერთ დონეზე ხომ ვერ ჩაატარებ, თანაც ერთსა და იმავე გუნდთან. მით უმეტეს, რომ ბოლო პერიოდში „დინამო" საგრძნობლად გაძლიერდა.

● ***აღარც პაველ გოოგე, აღარც ლეგიონერები, აღარც ევროტურნირები? რატომ დატოვა გუნდი მწვრთნელმა პაველ გოოგემ?***

— მან რუსეთის გუნდებიდან მიიღო მიწვევა. დამეთანხმებით, აქ და საზღვარგარეთის კლუბებში ანაზღაურებებს შორის საკმაო სხვაობაა და ცხადია, ამ ფაქტორმაც ითამაშა როლი. პაველ გოოგეს კარგად იცნობენ, სწორედ მისი ხელმძღვანელობით მიაღწია პირველ სერიოზულ წარმატებებს „ურალ-გრეიტმა". ამ კლუბის ღირსებას ერთი ხანობა იცავდა ვახტანგ ნაცვლიშვილი, რომლის საშუალებითაც დავამყარეთ კონტაქტი გოოგესთან და მოვახერხეთ მისი წამოყვანა ბათუმში. ამჟამად რუსეთში გოოგეს უფრო კარგი ვარიანტი შესთავაზეს და ისიც დათანხმდა.

● ***„ბასკოს" რიგებში აღარც ლეგიონერები ჩანან...***

— სამშობლოში გაბრუნდნენ დილანი და გუნდის ლიდერი როჯერსი. აქაც ფინანსური საკითხი დადგა. ასეთი დონის მოთამაშეებს უფრო კარგი პირობები ესაჭიროებათ. გაურკვევლია ოლივერ ჯუტანისა და პლასიდი როდუმტას ბედიც. მათი გუნდში დარჩენის საკითხი უახლოეს ხანში გაირკვევა. სწორედ დაფინანსებასთანაა დაკავშირებული ევროტურნირებში მონაწილეობა, რაც ძალიან დიდ ხარჯებს მოითხოვს. ცხადია, ევროტურნირებში თუ ითამაშებ, დამაჯერებლად უნდა ისპარეზო, ძლიერი გუნდი უნდა გყავდეს. ამ ეტაპზე კი ჯერჯერობით ვერ შევძლებთ ევროტურნირებში გამოსვლას. თუმცა, შესაძლებელია, უახლოეს ხანში სიტუაცია შეიცვალოს, ანდა, ნებლ-ის პირველობაზე მივიღოთ მონაწილეობა.

● ***ლეგიონერთა გარდა კიდევ ვინ დატოვა კლუბი?***

— თორთლაძემ, ბექანიშვილმა, ბერძენიშვილმა და ორმოცაძემ...

● ***90-იან წლებში, ეროვნულ საკალათბურთო პირველობებზე გამოდიოდნენ ე.წ. „ერთწლიანი" გუნდები, მაგალითად, — გუნდი „თბილისი", რომელმაც ერთი სეზონი ითამაშა და დაიშალა. ნუთუ ეს ტენდენცია გრძელდება?***

— ასეთ გუნდებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ გააჩნდათ და ცხადია, დიდხანს ვერ გაძლებდნენ. სწორედ მატერიალური ბაზის უქონლობამ იმსხვერპლა ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი „ვითა". „ბასკოს" კი ასეთი რამ არასოდეს ემუქრება. წელან ლეგიონერებსა და პაველ გოოგეს წასვლაზე ვისაუბრეთ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „ბასკოს" უჭირს. პირიქით, „ბასკოს" ჩინებული ბაზა გააჩნია — დიდებული დარბაზი, აუზი, საუნა, ტრენაჟორები... კალათბურთელებს შესანიშნავი პირობები აქვთ.

● ***ახლახან მთავარ მწვრთნელად დაინიშნეთ. როდის დაიწყეთ ახალი სეზონისთვის მზადება და რამდენი დებიუტანტი გყავთ?***

— ახალი სეზონისათვის მზადება „ბასკომ" რამდენიმე დღის წინ დაიწყო. კალათბურთელებმა სამედიცინო შემოწმება გაიარეს. გვყავს ახალი კალათბურთელები: კახაბერ შენგელია, ვახტანგ მინაშვილი, ტიბუიანჩუ, ლადო სუხიშვილი, ირაკლი კეიდია, ლუკა შანიძე, დავით ბერიშვილი, ზვიად ბაბიაშვილი. დანარჩენები ადგილობრივი კალათბურთელები არიან. გარდა ამისა, მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ზაზა ფაჩულიასთან, რომელიც დასასვენებლად იმყოფება ბათუმში. და კიდევ ერთი — „ბასკოს" მეორე მწვრთნელად დავით რიბაშვილი დაინიშნა.

● ***როგორია ახალი საკალათბურთო სეზონისათვის „ბასკოს" მზადების გეგმა?***

— ბათუმში ვემზადებით. სექტემბერში აჭარის დედაქალაქში საერთაშორისო საკალათბურთო ტურნირის ჩატარებაა დაგეგმილი. კიდევ ვიმეორებთ, კალათბურთელებს წვრთნის დიდებული პირობები აქვთ და ვიმედოვნებთ, რომ ჩემპიონის ტიტულს შევინარჩუნებთ.

ესაუბრა
თენგიზ ჩოგანიძე
სპეციალურად „ლელოსათვის"

# სპორტის ახალი სახეობა ● უოდბოლი




უოდბოლი (ანუ თამაში ხის ბურთით) წარმოადგენს სპორტის ახალ სახეობას, რომელიც ჯერ არ არის შემოსული საქართველოში და არც ყოფილა დანერგილი საბჭოთა რესპუბლიკებში. პირველად თამაში დაიწყეს კუნძულ ტაივანზე (ტაიპეი) 1990 წელს. 1993 წელს შეიქმნა უოდბოლის ჩინეთის ეროვნული ასოციაცია. 1995 წელს სპორტის ეს სახეობა შეიტანეს ჩინეთის უნივერსიადის პროგრამაში.

უოდბოლს არ სჭირდება სპეციალური მოედანი ან დარბაზი, სპეციალური მოწყობილობები. ინვენტარი ძალზე მარტივია. აღჭურვილობაში შედის;

1. ბურთი, რომელიც ხისგან არის დამზადებული დიამეტრით 9,5 სმ. წონით 350-400 გრ, რომელიც შეიძლება დაინომროს;

2. ჩაქუჩი, რომელიც ასევე ხისგან არის დამზადებული: სიგრძე — 90 სმ. წონა 800 გრ. (იხ. სურათი „ა") შედგება სახელურისაგან და ბოთლის ფორმის თავისაგან დიამეტრით 3,5 სმ. ბოლოზე აკრავს მკვრივი რეზინის შრე სიმაღლით 3,5 სმ, სისქით — 1,3 სმ, დიამეტრი — 6,6 სმ;

3. კარი (ფორმა აღნიშნულია „ბ" სურათზე).

კარი შეიცავს ბოთლის ფორმის ხისგან დამზადებულ 3 ფიგურას და ერთმანეთთან შეერთებულია მეტალის ჩხირით, რომელიც თავში და ბოლოში ჭანჭიკებით მაგრდება. ორი ფიგურა, რომელიც ნიადაგში ესობა, მეტალით ბოლოვდება. მესამე ფიგურა ჭიქის ფორმისაა, თავსდება ამ ორ ფიგურას შორის და მოძრაობს მეტალის ჩხირზე, ღერძის გარშემო. მისი სიგრძე გაცილებით ნაკლებია და შეადგენს 15 სმ. როგორც სასტარტო, ისე კარის მოედანი ეწყობა ბალახის, ასფალტის ან მიწის სწორ მოედანზე ან ბილიკზე. ყოველი ბილიკის ბოლოს კეთდება 5 მ. დიამეტრის ცირკულარული მოედანი, მათ შორის ცენტრში კარით.

## თამაშის წესები

ხის ბურთით თამაში მისაწვდომია ყველა ასაკის ადამიანისათვის, ბავშვებისათვის, ახალგაზრდებისათვის და ხანდაზმული ადამიანებისათვის, როგორც აგარაკებზე, ისე სპეციალურად მოწყობილ მოედნებზე თუ მას ექნება შეჯიბრების ხასიათი. შეჯიბრების მიზნით გამართულ ასპარეზობაში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს ერთმა, ორმა ან რამდენიმე გუნდმა. გუნდში შეიძლება იყოს 2-დან 4 მოთამაშემდე. აღნიშნულ გუნდებზეა დამოკიდებული რამდენი მოედანი (შესასვლელი) მოეწყობა, დასაშვებია შესასვლელი მოედნის მოწყობა იმის გათვალისწინებით თუ როგორი მასშტაბის შეჯიბრება ტარდება. ძირითადად კეთდება 4 მოკლე, 4 საშუალო და 4 ძირითადი შესასვლელი მოედანი. მოედნის სიგრძე მერყეობს 20 მეტრიდან 80 მეტრამდე. თითოეული შესასვლელი მოედნის სიგანე 2 მეტრიდან 10 მეტრამდეა.

ადგილმდებარეობის მიხედვით შესაძლებელია შესასვლელი მოედნების რაოდენობის შემცირება. თამაშის დროს ყოველი მოთამაშე ურტყამს ბურთს, რომელიც უნდა გავიდეს კარებში, გამარჯვებულად ითვლება გუნდი ან მოთამაშე, ვინც ნაკლები დარტყმით ბურთს გაიყვანს კარებში.

გუნდის ანგარიში დარტყმებისა და გატანილი გოლების საერთო რაოდენობით განისაზღვრება. თუ თამაში ყაიმით დამთავრდა, გამარჯვებულად ჩაითვლება, ვინც ლიდერობდა ყოველ შესასვლელ მოედანზე.

ჩვენ განზრახული გვაქვს დავნერგოთ ეს ახალი სახეობა საქართველოში. შევქმნათ უოდბოლის ფედერაცია, რომელიც ორგანიზაციას გაუწევს (თუ დაინტერესება იქნება) ქვეყნის მასშტაბით შეჯიბრებების ჩატარებას, მის პოპულარიზაციას, სასწავლებლებში, დასასვენებელ სახლებში და ა.შ.

**ბივი მძელური**

**რედაქციისაგან: როგორც ხედავთ, ჩნდება საქართველოში სპორტის კიდევ ერთი, ყველასათვის ხელმისაწვდომი სპორტის სახეობის დანერგვის შესაძლებლობა. წერილის ავტორს ხელთ აქვს უოდბოლის სანიმუშო კომპლექტი, რომლის მიხედვით შეიძლება ჩვენში მისი დამზადება.**







**ვინ იკისრებს ამ ინვენტარის დამზადებას? შეგახსენებთ, ინვენტარის სანიმუშო კომპლექტი ავტორთან ინახება**

## ბელოგლაზოვების ტურნირზე

**კალინინგრადში დასრულდა V საერთაშორისო ტურნირი ოლიმპიური ჩემპიონების ძმებ ბელოგლაზოვებისა და გუბერნატორის თასზე.**

***55 კგ:*** 1. ჩიკარა (იაპონია), 2. პანტილოვი, 3. მერგენი (ორივე — რუსეთი);
***60 კგ:*** 1. გუზოვი (ბელარუსი), 2. ულანი (ყირგიზეთი), 3. პავლოვი (რუსეთი);
***66 კგ:*** 1. აიბაზოვი, 2. ჯუხაევი, 3. ნოზაძე (სამივე — რუსეთი);
***74 კგ:*** 1. გეიდაროვი (ბელარუსი), 2. ს. კირილოვი, 3. დ. კირილოვი (ორივე — რუსეთი);
***84 კგ:*** 1. ტოკაევი, 2. ტემრეზოვი, 3. ვიტკოვსკი (სამივე — რუსეთი);
***96 კგ:*** 1. ალექსანდრ შემაროვი (ბელარუსი), 2. ალექსეი შემაროვი, 3. აგაევი (ორივე — რუსეთი);
***120 კგ:*** 1. რეზაზი, 2. ნურაზი (ორივე — ირანი), 3. აფონინი (რუსეთი).
***გუნდური:*** 1. რუსეთი, 2. ბელარუსი, 3. იაპონია.

**საქართველოს წარმომადგენლები ტურნირში არ მონაწილეობდნენ.**

თუ სხვაგან ვერ მოახერხეთ, „ლელოს" შეძენა ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გამომცემლობა „სამშობლოს" (კოსტავას ქ.14) წინ, გამავრცელებელთან. მიიღება დაკვეთაც.

# ესტონეთის მაგიერ... თურქეთში

კარგახნის დაგეგმილი სანაკრებო განრიგი შეეცვალა ჩვენს ეროვნულ ნაკრებს. ქართველთა თხოვნას გაგებით მოეკიდა ესტონეთის ფეხბურთის ფედერაცია და ბალტიელთა და ჩვენებურთა ამხანაგური მატჩი წლეულს აღარ შედგება. ორივე შეხვედრა გაისად გაიმართება. როგორც ადრე შევთანხმდით, 12 თებერვალს ესტონელებს შინ მივიღებთ, საპასუხო ვიზიტის თარიღი კი მოგვიანებით გაირკვევა.

ეროვნულმა ნაკრებმა მხარი ოლიმპიელებს აუბა და დადგენილ სანაკრებო ამხანაგური მატჩების დღეს 21 აგვისტოს თურქეთს ეწვევა. მეტოქე გაცილებით ძლიერია ესტონელებზე და ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის დაწყებამდე ლაზი მწვრთნელის შენოლ გიუნეშის ახლახან დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატზე თავგამოჩენილ შეგირდებთან შერკინება გაცილებით პრესტიჟულია. ახალგაზრდული ნაკრები მეზობელ თანატოლებს ერთი დღით ადრე, 20 აგვისტოს რიზეში ეთამაშება, ეროვნულ ნაკრებთა პაექრობას კი 21 აგვისტოს ტრაბზონი უმასპინძლებს.

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა



ახალ სეზონს ეროვნული ნაკრები თურქეთში დაიწყებს...

# სფფ-ს ძველი ნაცნობი ესტუმრება



მერაბ ჟორდანია (მარცხნივ) და ვალერი ჩუხრი შარშანდელი ვიზიტისას

ფოტო გ. მალხაზიშვილისა

19 ან 20 ივლისს თბილისში ჩამოვა ფიფას წარმომადგენელი პროგრამა „გოლის“ ბიუროს შეფი დსთ-სა და ბალტიის ქვეყნებში ვალერი ჩუხრი. ოფიციალური სტუმარი, რომელიც საქართველოში შარშანაც იმყოფებოდა, ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების ტექნიკური ცენტრის მშენებლობის მიმდინარეობას გაეცნობა და შეამოწმებს.

# „ლოტო“ ფორმებს გვიგზავნის

ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები ახალ სეზონს ახალი ფორმებით დაიწყებენ (თეთრითა და შავით). შეიძლება კომბინირებული ფერებითაც. სფფ-ს ტექნიკური სპონსორი, სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა „ლოტო“, რამდენიმე დღეში თბილისში გამოაგზავნის ფორმების კომპლექტს, რომლის საერთო წონა ტონაზე მეტია. სფფ-ს კიდევ შემორჩა ნაკრების შინდისფერი ფორმის 4 კომპლექტი. ასე რომ, ჩვენი ნაკრები გუნდები საერთაშორისო ტურნირებში სათამაშო ფორმებით სრულად იქნება უზრუნველყოფილი.

# პირველი ლიგაც დალაგდა

**საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში**

პარასკევს, დღისით სფფ-ში პირველი ლიგის თავკაცობა შეიკრიბა და წლევანდელი სეზონის კალენდარზე იმსჯელა. პირველობაში, რომელიც 31 აგვისტოს დაიწყება, ცამეტი გუნდი ითამაშებს. ლიგას საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები დაემატა. განახლდა გათამაშების სისტემაც. გუნდები ორწრედ, ოცდაოთხ ტურს ითამაშებენ.

*პირველი ტურის განრიგი ასეთია:*

ჭაბუკთა ნაკრები — ივერია (ხაშური)
დინამო2 (თბილისი) — ლოკომოტივი2 (თბილისი)
სამგურალი (წყალტუბო) — მერცხალი (ოზურგეთი)
ლაზიკა (ზუგდიდი) — ქობულეთი
ცხინვალი — მცხეთა
თსუ — კოლხეთი (ხობი)
გურია (ლანჩხუთი) ისვენებს.

# «დინამომ» ფრედ ითამაშა

გერმანიაში თბილისის „დინამომ“ მესამე საკონტროლო მატჩი პოლონურ „გროცლინთან“ გამართა და ფრედ 0-0 ითამაშა. მოედანზე არ გამოსულა გიორგი ანჩაბაძე, მას მცირე ტრავმა აწუხებს. მატჩმა გამოაჩინა, რომ თბილისური კლუბი ახალ სეზონს შეიძლება ახალწვეული ლეგიონერის გარეშე შეხვდეს. შუშაკმა პოლონელებთან მატჩში ნიგერიელი უჩა კიდევ ერთხელ გამოსცადა და ალბათ, აღარ დაიტოვებს. „დინამომ“ კი „გროცლინთან“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გვარამაძე (ზოიძე 46), ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, სახვაძე (კვირკველია 46), ბურდული (სამხარაძე 57), კარლოსი (უჩა 57), გოგობერიშვილი, დარასელია (კანდელაკი 46), ბობოხიძე (მიქაძე 46), ახალაია (ებანოიძე 75).

თბილისელები დღეს და ხვალ გერმანულ კლუბებთან მოსინჯავენ ძალებს — „ფორცაიმართან“ და მეორე ბუნდესლიგელ „ქართულ“ „ფრაიბურგთან“.

# „ტორპედო“ ევროპისკენ დაიძრა

